პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 ივლისი ოთხშაბათი 1970 წელი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 158 (14762)

საკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ შეჯიბრება სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმების წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

საკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებიდან.

ჩვენი საერთო საქმე

ПРАВДА

6 ივლისის მოწინავე

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლახან დამთავრებული პლენუმის გადწყვეტილებებმა განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ საბჭოთა ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ეს გადწყვეტილებანი მიღებულია ორი ხუთწლედის მიჯნაზე და, ერთიანებენ რა მათ ერთ მთელად, დახმარებას აძლევენ კიდევ უფრო მაღალ ეტაპს სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებაში, სახავენ გარდაქმნებს, რომელთა ნაყოფიერ შედეგებს რეალურად იგრძნობს საკუთარ თავზე თვითეული საბჭოთა ადამიანი. ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული სამუშაოთა პროგრამა, რომლის მიზანია სოფლის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნა, თავისი მასშტაბებით ბევრად აღემატება ყოველივე იმას, რაც დღემდე კეთდებოდა.

მარტო სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი სოფლის მეურნეობაში შეადგენენ მომავალ ხუთწლეულში 77,6 მილიარდ მანეთს, რაც 1,7-ჯერ აღემატება მიმდინარე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილ ასიგნებათა მოცულობას. არ არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების, სოფლის ცხოვრებისა და ყოფის არც ერთი ისეთი დარგი, რომლის წინაშე არ იასახებოდეს ზრდის, დიდი, კეთილი გარდაქმნების ფართო პერსპექტივები. ჩვენს სახელმწიფოს რომ შეუძლია დღეს ესოდენ დიდი მასშტაბით გაადიდოს ხარჯები, ამას მჭევრმეტყველურად მოწმობენ სკკპ XXIII ყრილობის შემდეგ გასული წლების მანძილზე მნიშვნელოვნად გადიდებული საბჭოთა ეკონომიკის შესაძლებლობანი, ეს არის საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ყოველი ღონისძიებით ამაღლებისათვის, სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის, პარტიის კურსის პირდაპირი შედეგები და განგრძობა.

ამოცანა ის არის, რომ ღრმად მოფიქრებულად, მომჭირნეობით, მაქსიმალური ამოგებით გამოვიყენოთ ამ სახსრების თვითეული სახალხო მანეთი. და ამასთან — რაც შეიძლება უფრო სრულად — გამოვავლინოთ თვითეული მეურნეობის, რაიონის, ოლქისა და რეპუბლიკის შინაგანი რეზერვები, უფრო სწრაფად ავამოქმედოთ ისინი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყველა დარგის ინტენსიური განვითარების ინტერესებისათვის. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა განვუმარტოთ მშრომელებს ამბ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „პარტიის მორიგი ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში" და საკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, მოვაწყოთ გეგმაზომიერი ყოველმხრივი მუშაობა პარტიის მიერ დასახული პროგრამის განხორციელებისათვის.

პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ამ ამოცანის გადასაწყვეტად დაგრაზმოთ ყველა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციის, საგუბერნიო, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, მუშების, გლეხების, მეცნიერების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მეცადინეობა. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააერთიანონ ეს მეცადინეობა, უნდა უზრუნველყონ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. საჭიროა ყველგან შეუქმნათ ისეთი ვითარება, რომელიც სოფლის მშრომელებს აღუძრავს შემოქმედების, მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის, შრომის ნაყოფიერების ამაღლების სურვილს. ეს გულისხმობს არა მარტო ინიციატივის ფართო ასპარეზის შექმნას, ყოველივე ახლის, მოწინავის საზოგადოებრივ აღიარებას, მატერიალურ წახალისებას, არამედ ავრეთვე დისციპლინის დარღვევის, პასუხისმგებლობის გრძნობის შესუსტების, მფლანგველობისა და უყაირათობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

დღეს უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, საჭიროა ვებრძოლოთ სიტყვისა და საქმის, სამეურნეო და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანული ერთიანობისათვის, ეკონომიური, სოციალური და იდეოლოგიური პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტისათვის. პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა დაუკავშიროთ თვითეული შრომითი კოლექტივის წინაშე მდგომ აქტუალურ ამოცანებს. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ჩვენმა პრესამ, რადიომ, ტელევიზიამ.

ამჟამად სოფლის მეურნეობაში, ისევე როგორც მრეწველობაში, პირველ პლანზე დგება ჩვენი ზრდის თვისებრივი ფაქტორები, ისინი გაცილებით უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ კადრებს, საქმის მთელ ორგანიზაციას, პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის, ადამიანებთან მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ყველგან იბრძოლონ ამისათვის, რომ პლენუმის გადწყვეტილებანი განუხრელად ხორციელდებოდეს. ამის გზაა მაღალი დარაზმულობის, საქმიანობის, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის დანერგვა. ახლა თვითეულ კომეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში განსაკუთრებით საჭიროა კოლექტივის საქმიანობის მომთხოვნი, თვითკრიტიკული ანალიზი, რეზერვების, ახალი შესაძლებლობების ღრმა ძიება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლებისათვის, სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის, პარტიის კურსის პირდაპირი შედეგები და განგრძობა.

ამოცანა ის არის, რომ ღრმად მოფიქრებულად, მომჭირნეობით, მაქსიმალური ამოგებით გამოვიყენოთ ამ სახსრების თვითეული სახალხო მანეთი. და ამასთან — რაც შეიძლება უფრო სრულად — გამოვავლინოთ თვითეული მეურნეობის, რაიონის, ოლქისა და რეპუბლიკის შინაგანი რეზერვები, უფრო სწრაფად ავამოქმედოთ ისინი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა დარგის ინტენსიური განვითარების ინტერესებისათვის. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა განვუმარტოთ მშრომელებს ამბ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „პარტიის მორიგი ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში" და საკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, მოვაწყოთ გეგმაზომიერი ყოველმხრივი მუშაობა პარტიის მიერ დასახული პროგრამის განხორციელებისათვის.

შენთვის, მამულო საყვარელო!

„ტუიბულქვანახშირის" ტრესტის სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა ფართოდ გააჩაღა საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრება. მიმდინარე წლის ექვსი თვის გეგმა შესრულებულია ვადამდე. ზეგეგმით მოპოვებულია ექვსათას ტონაზე მეტი ქვანახშირი. პირველი საექსპლოატაციო უბნის მოწინავეთა შორის უცვლელად ასახელებენ მნგრეველთა კომუნისტურ შრომის ბრიგადას, რომელსაც სათავეში უდგას ლევან კირკიტაძე. ბრიგადა ყოველდღიურად 8-10 ტონა ზეგეგმით მაღალხარისხოვან ქვანახშირს იღებს. სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა ვალდებულება აიღო მეშახტის დღისათვის — 25 აგვისტოს შეასრულოს ხუთწლიანი გეგმა. სურათზე: „ტუიბულქვანახშირის" ტრესტის სტალინის სახელობის მაღაროს პირველი საექსპლოატაციო უბნის მნგრეველთა კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები (მარცხნიდან ლ. კირკიტაძე, გ. ბეროძე და უ. რიჟამაძე.

ფოტო ბ. ბერსამისის (საქდესის ფოტოქრონიკა).

პარტიის საქმე მთელი ხალხის საქმეა

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი პროგრამა დაგვისახა სოფლის მეურნეობის მუშაკებს. ამ პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევის ღრმამნიშვნელოვანი მოხსენებამ მოცემულია ყველა დარგისა და, კერძოდ, მარცვლეულის წარმოების გადიდებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის განვითარების ღონისძიებები.

სოფლის მშრომელებს გულში ჩაგვწვდა ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების თვითეული სიტყვა. მან თქვა: „უფრო დიდი მოთხოვნები უნდა წაეყენოთ აგრეთვე ჩვენს ცენტრალურ და ადგილობრივ საასოფლო-სამეურნეო ორგანოებს".

პლენუმის დადგენილება სოფლის პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ყურადღებას მიაქცევს მარცვლეულის, ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისაკენ. ეს ეხება ჩხოროწყუს რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებსაც. რაიონში დიდი ადგილი უჭირავს ჩაის ფოთლის, სიმინდის წარმოებას, აგრეთვე საზოგადოებრივ მეცხოველეობას. მართალია, ამ დარგების განვითარება მიმდინარე ხუთწლედში წინ წავიდა, მაგრამ საკმარისი როდია. აუცილებელია ვაწარმოოთ მეტი და ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, გავადიდოთ სიმინდის წარმოება. სამარცვლად და სასილოსედ, რათა მტკაცე საკვები ბაზა შევუქმნათ მეცხოველეობას.

ამ მხრივ ახალი, სერიოზული ნაბიჯების გადადგმა მოგვიწევს. მით უმეტეს, როცა 1971-1975 წლებში მკვეთრად იზრდება მოთხოვნები ამ დარგების განვითარებისათვის. რაიონის სოფლის მშრომელები გულდასმით ეცნობიან პლენუმის მასალებს და მხურვალედ იწონებენ პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებმაც ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ხაშურის, ჩხოროწყუს, ნაფიჩხოვოს, მოუხრის, ქვედა ჩხოროწყუს, ლესიჭინის და სხვა კოლმეურნეობებს მოუხდებათ ახალი რეზერვების ამოქმედება, რათა საქმით უპასუხონ პლენუმის გადაწყვეტილებებს.

რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკები არ დაიშურებენ ენერგიას, ცოდნას — იმისათვის, რომ საჭირო დასკვნები გაიტანონ და განახორციელონ იულისის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

გ. ცირამუა,
ჩხოროწყუს რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი.

ენერგიის დაუზოგავად

ჩვენი კოლმეურნეობის მშრომელებში დიდი ინტერესი გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მასალებმა და ამ პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ. სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლა ყოველი საბჭოთა ადამიანის, განსაკუთრებით კი სოფლის მშრომელთა სისხლხორცეული საქმეა. ეს კარგად იციან ჩვენმა კოლმეურნეებმა და ყოველდღიურად ენერგიის დაუზოგავად იბრძვიან პროდუქტების სიუხვისათვის.

მემინდვრეობა და მეცხოველეობა ჩვენთან მთავარი დარგებია. ბოლო წლებში შემოსავლის წყაროდ გადაიქცა აგრეთვე მევენახეობა. ამ დარგებიდან შემოსავალი ყოველწლიურად მატულობს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დიდმნიშვნელოვანი გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლა ყოველი ჩვენგანის საპატიო ვალია. მთელი ძალღონით ვიბრძოლებთ, რომ მიმდინარე წელი კარგი მაჩვენებლებით დავამთავროთ.

ი. ბიკაშვილი,
სიღნაღის რაიონის ბოდბის ორწლინკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მოლაპარაკება

ბუქარესტი, 6 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს რუმინეთის დედაქალაქში ჩამოსულის შემდეგ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის **ა. ნ. კოსიგინის** მეთაურობით ეწვია რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომისა და მუდმივი პრეზიდიუმის წევრს **ი. გ. მაურერს.**

შეხვედრამ გულთბილი, ამხანაგური ვითარებაში ჩაიარა.

ნაშუადღევს რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სასახლეში გაიმართა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი **ა. ნ. კოსიგინი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **მ. ა. სუსლოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე **კ. ბ. რუსანოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში **ა. ვ. ბასოვი.**

რუმინეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომისა და მუდმივი პრეზიდიუმის წევრი **ი. გ. მაურერი,** რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომისა და მუდმივი პრეზიდიუმის წევრი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. ნიკულესკუ-მან�eა,** რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი **კ. მენესესკუ,** რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე **ვ. ვლადი,** რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში **ტ. მარინესკუ.**

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

ბუქარესტი, 7 ივლისი. (საკდესი). რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომისა და მუდმივი პრეზიდიუმის წევრმა **ი. გ. მაურერმა** გუშინ მინისტრთა საბჭოს სასახლეში დარბაზობა გამართა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად, რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი **ა. ნ. კოსიგინი** მეთაურობენ.

შეკრებილთ მიმართა ამბ. **ი. გ. მაურერმა.**

სიამოვნებას მგვრის რუმინეთის პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობის, მთელი რუმინელი ხალხის სახელით, თქვა მან, გულთბილად მივესალმო ამხანაგ ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პატივცემულ ხელმძღვანელ მოღვაწეს, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციაში შემავალ ამხანაგებს, რომლებიც რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკაში ჩამოვიდნენ იმისათვის, რომ ხელი მოვაწეროთ ორ ქვეყანას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას.

როგორც რუმინეთის კომუნისტური პარტიის მეათე ყრილობაზე განსაზღვრა ამხანაგმა ნიკოლაე ჩაუშესკუმ, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ურთიერთობის განვითარება.

მოხარული ვართ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ჩვენი საუბრები ორი მხარისათვის სასარგებლო და დამაკმაყოფილებელია, აღენიშნეს რუმინეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის დადებით კუთხეს. რუმინეთისა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის საზოგადოებრივი წყობილების საერთო არსი, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია, სოციალიზმისა და კომუნიზმის მიზნები, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი — ფაქტორები, რომელთა მოქმედება მრავლდება ჩვენი სახელმწიფოების ეკონომიკის და კულტურის სწრაფი პროგრესით.

სასიხარულოა აღინიშნოს ორივე მხარის გადაწყვეტილება, რომ კიდევაც უფრო მაღალ დონეზე აიყვანონ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა ყველა დარგში.

შემდეგ გამოვიდა ამბ. **ა. ნ. კოსიგინი.**

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის სახელით მადლობას მოგახსენებთ მეგობრული მისალმებისათვის, ყურადღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის, რაც ჩვენს დელეგაციას გაუწიეთ, თქვა მან. სოციალისტური რუმინეთის დედაქალაქში ჩვენი ჩამოსვლის პირველივე დღე აღსავსე მკაფიო, დასამახსოვრებელი შთაბეჭდილებებით რუმინელ მშრომელებთან შეხვედრების გამო.

ამ შეხვედრების ატმოსფერო უწინარეს ყოვლისა მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის ხალხებმა, ჩვენი ქვეყნების კომუნისტურმა პარტიებმა ერთად განვლეს დიდი გზა და რომ საბჭოთა კავშირ-რუმინეთს 1948 წლის ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული იდეები განხორციელდა.

ამ ორი ათწლეულის მანძილზე მსოფლიოში მოხდა გიგანტური ცვლილებანი. უმნიშვნელოვანესი რეალობა, რომელმაც განსაზღვრა ისტორიული განვითარების მიმართული, იყო მსოფლიო სოციალისტური სისტემა, საერთაშორისო მუშათა კლასი, მთელი რევოლუციური და პროგრესული ძალები, მთელი მსოფლიოს პროგრესულ ძალებს არასდროს არა ჰქონიათ ისეთი შესაძლებლობანი, როგორც ახლა აქვთ, და სოციალისტურ ქვეყნებს, რომელთა ოჯახში შედიან საბჭოთა კავშირი და რუმინეთი, უნარი შესწევთ მთლიანად განახორციელონ ეს შესაძლებლობანი თავიანთი ხალხების ინტერესებისათვის, სოციალიზმისა და მშვიდობის ინტერესებისათვის.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემის დიადი როლი გამომდინარეობს უპირატესობებისაგან, რომლებსაც სახავენ სოციალისტური წყობილება და მარქსიზმ-ლენინიზმი, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული ჩვენი კოლექტიური თანამშრომლობა. გამოვიყენოთ ყველა სოციალისტური ქვეყნის ეს თანამშრომლობა ჩვენი საერთო წინსვლის დაჩქარებისათვის პროგრესის გზაზე, ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც კი სოციალიზმის ქვეყნების წინაშე დგას.

ეფიქრობ გამოვხატავ ჩვენს საერთო აზრს, თუ ვიტყვე, რომ მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ახალი ხელშეკრულება, რომლის ხელმოსაწერად ბუქარესტში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, გახდება ის სამართლებრივი საფუძველი, რომელზეც სულ უფრო გაიზრდება და განმტკიცდება ჩვენი პარტიების, ქვეყნებისა და ხალხების ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა შემდგომ წლებში.

ახალი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის ორმხრივ ურთიერთობას, ამავე დროს ხელს შეუწყობს მთელი სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა სოლიდარობის განმტკიცებასაც, მათი ძმური ურთიერთდახმარების, მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო თანამშრომლობის განვითარებას, ამავე დროს ხელს შეუწყობს სოციალისტური ქვეყნების ავტორიტეტისა და გავლენის განმტკიცებას, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ინტერესებს.

დღეს თუ ჩვენ წარმატებით ვებრძვით ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ, თუ ევროპაში იზრდებიან ძალები, რომლებიც მოითხოვენ კოლექტიური უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნას, თუ კრახს განიცდიან იმპერიალისტ აგრესორთა ავანტიურები, ყოველივე ეს მნიშვნელოვანწილად სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თავდადებულ კოლექტიურ ღონისძიებათა, მიზანმიმართული მოქმედების შედეგია მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

ჩვენი ქვეყნების მშრომელებს, საბჭოთა და რუმინელ კომუნისტებს, აკავშირებთ ერთობლივი ბრძოლა მუშათა კლასის იდეალების გამარჯვებისათვის. ჩვენ, საბჭოთა კომუნისტებს, კარგად გვესმის ჩვენი მეგობრული ურთიერთობის ინტერნაციონალური მნიშვნელობა და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის ძმური თანამშრომლობა.

ამხანაგებმა ი. გ. მაურერისა და ა. ნ. კოსიგინის სტუმრები დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

დარბაზობამ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

დაქმოზილებული ქალაქების მსოფლიო ფორუმი

ლენინგრადი, 7 ივლისი. (საკდესი). დღეს თავრიდის სასახლეში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დაძმობილებული ქალაქების VII მსოფლიო კონგრესი. მისი დელეგატები ხალხის მასების ფართო მონაწილეობა ქალაქების დაძმობილებაში ხალხთა მშვიდობის, უშიშროებისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის.

ათას ხუთასზე მეტი დელეგატი წარმოადგენს ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის 50 ქვეყნის ქალაქებს, კომუნებსა და თემებს.

პირველი პლენარული სხდომა გახსნა ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ა. სიზოვმა, რომელიც საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქალაქების ურთიერთობის ასოციაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარეა.

დელეგატები აღტაცებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის მისალმებას კონგრესისადმი.

საანგარიშო მოხსენება „დაძმობილებული ქალაქების მსოფლიო კონგრესის საქმიანობის შესახებ" გააკეთა ფედერაციის გენერალურმა დელეგატმა, ქალაქების დაძმობილებისათვის მოძრაობის დამაარსებელმა ჟ.-მ. ბრესანმა.

ოთხი დღის განმავლობაში დელეგატები განიხილავენ კომუნალურ-მოსახლეობის, თანამშრომლობის განვითარების პრობლემებს. კონგრესის მუშაობაში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს განვითარებადი ქვეყნების ქალაქებთან მეგობრული ურთიერთობის გაფართოების საკითხები.

კონგრესის ფარგლებში გაიმართება დისკუსიები და შეხვედრები ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლების, ენების, როგორც ურთიერთობის და ხალხთა ურთიერთგაგების გაღრმავების საშუალების შესწავლის პრობლემებზე.

დაისახება დაძმობილებული ქალაქების მსოფლიო კონგრესის შემდგომი საქმიანობის პროგრამა, არჩეულ იქნება ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოები.

დაქმოზილებული ქალაქების მეოვიდე მსოფლიო კონგრესს

ლენინგრადი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად მივესალმები დაძმობილებული ქალაქების მე-7 მსოფლიო კონგრესის დელეგატებსა და მონაწილეებს.

თქვენი კონგრესის ლოზუნგი და თემა „ხალხის მასების ფართო მონაწილეობა ქალაქების დაძმობილებაში მშვიდობის, ხალხთა უშიშროებისა და სოციალური პროგრესის ინტერესებისათვის" ხაზს უსვამს დაძმობილებული ქალაქების მოძრაობის მიზნებისა და ამოცანების განუყრელ კავშირს აქტუალურ თანამედროვე პრობლემებთან.

ქალაქების მცხოვრებელები, ისევე როგორც ჩვენი პლანეტის ყველა ადამიანი დაინტერესებული არიან იმით, რომ დედამიწაზე დამყარდეს მტკიცე მშვიდობა, რომ კაცობრიობას თავიდან ავაცილოთ ომები, ჩაგვრა, სოციალური უსამართლობა და მას შეეძლოს თავისი შრომა მოახმაროს აყვავებისა და პროგრესის საქმეს.

მსოფლიოში ჯერ კიდევ არის ძალები, რომლებიც ქმნიან დაძაბულობას სახელმწიფოთა და ხალხთა შორის ურთიერთობაში, ეწევიან განსაღებულ შეიარაღებას, პროვოკაციულად იწვევენ და აჩალებენ საომარ კონფლიქტებს, ახორციელებენ მტრობისა და დისკრიმინაციის პოლიტიკას, ცდილობენ ფაშიზმის აღორძინებას. სამართლიან გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს იმპერიალისტთა აგრესიული მოქმედება ვიეტნამის, ლაოსის, კამბოჯის, არაბული ქვეყნების თავისუფლებისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ. ხალხები გადაჭრით გმობენ აგრესიის ამ აქტებს. ყველა ქვეყანაში საზოგადოებრიობის სულ უფრო ფართო წრეებს მეგნებული აქვთ, რომ საჭიროა აქტიური ბრძოლა საერთაშორისო უშიშროებისა და მშვიდობისათვის.

მეგობარი ქალაქების საერთაშორისო ფორუმი ეწყობა ქალაქში, რომელიც ვ. ი. ლენინის სახელს ატარებს, საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, თვალსაჩინო რევოლუციონერის, მოაზროვნის, დიდი ჰუმანისტის, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის მებრძოლის ასი წლისთავის წელს.

ეწევა რა მშვიდობიან აღმშენებლობისს შრომას, ჩვენი ხალხი, რომელიც დიდი ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას ადგას, ძალღონეს არ დაიშურებს მშვიდობის, ყველა ქვეყნის ხალხებთან ინტერნაციონალური მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქს მეგობრული ურთიერთობა აქვს საზღვარგარეთის ქვეყნების ქალაქებთან და აქტიურად მონაწილეობს დაძმობილებული ქალაქების მსოფლიო ფედერაციის საქმიანობაში. ეს თანამშრომლობა ხელს უწყობს გამოცდილების ურთიერთგაზიარებას ქალაქთმშენებლობის და საქალაქო მეურნეობის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის რიგი პრობლემების გადაჭრაში, ხელს უწყობს ხალხთა შორის კულტურული ურთიერთობის განვითარებას, მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებას, ემსახურება მშვიდობის საქმეს.

ნება მიბოძეთ წარმატება გისურვოთ კონგრესის მუშაობაში, დაძმობილებული ქალაქების მსოფლიო ფედერაციის საქმიანობაში, ყველა ქვეყნის ქალაქების მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომ განვითარებაში, მშვიდობისა და ხალხთა პროგრესის ინტერესებისათვის.

ნ. პოდგორნი.

მსოფლიო დღეს

გულითადობის, მეგობრობის ვითარებაში

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტმა და მთავრობის მეთაურმა გენერალმა ჟან-ბედელ ბოკასამ 6 ივლისს გამართა სადილი, რომელსაც დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მთავრობის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ტ. მაზუროვი და სხვა ოფიციალური პირები.

სტუმრებს სიტყვით მიმართა ჟან-ბედელ ბოკასამ.

სანამ გამოვთქვამდე, განაცხადა მან, ულრმესი მადლობის ჯერეინობას უმაღლესი საბჭოს, საბჭოთა მთავრობის წევრებისა და ლენინგრადისა და ვოლგოგრადის ყველა მოღვაწის მიმართ, რომლებმაც დიდებულად მიგვიღეს და გულთბილი მეგობრული მასპინძლობა გაგვიწიეს, ნება მიბოძეთ გითხრათ, რომ გულწრფელად მახარებს ოფიციალური ვიზიტი საბჭოთა კავშირში.

გარდა საშუალო სხდომებისა, რომლებშიც მონაწილეობდა ჩვენი ორი დელეგაცია, სულ განსაკუთრებით ჩვენი მოლაპარაკებისა, რომლის მნიშვნელობას მე მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი და რომლის მსვლელობაში შევიმუშავეთ ოფიციალური ისტორიული დოკუმენტები, ჩემმა უშუალო კონტაქტებმა მაღალი თანამდებობის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან როგორც, დედაქალაქ მოსკოვში, ისე ქალაქებში ლენინგრადსა და ვოლგოგრადში, იმ ადგილების ნახვამ, რომლებიც დაკავშირებულია სამეფოდ ბელ მოგონებებთან თქვენი სამეფოვანი წარსულის შესახებ, თქვენი შესანიშნავი თანამედროვე ნაგებობების დათვალიერებამ, რომლებიც წარმოადგენენ საბჭოთა ხალხის შრომის ბრწყინვალე გიმარჯვებებს ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების დარგში, საშუალება მომცა ღირსეულად დამეფასებინა გიგანტური ნაბიჯი, რომელიც საბჭოთა ხალხის გენიამ გადადგა ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

როცა საბჭოთა კავშირის სახელოვან წარსულზე ვლაპარაკობ, არ შეიძლია არ გავიხსენო ომი, საშინელი მეორე მსოფლიო ომი, რომლის დროს თქვენმა მრავალმა მოღიონმა ადამიანმა სიცოცხლე შესწირა წმიდათაწმიდა დედასამშობლოს თავისუფლებასა და მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

გაიმარჯვა რა ომში, საბჭოთა კავშირი — მშვიდობისათვის მებრძოლი — დღეს მთელ ძალღონეს ამჯობინებს ხალხის ბედნიერების შექმნას, მთელი მსოფლიოს თავისუფლების, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის დაცვასა და განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის მტკიცე წინსვლა ბედნიერი მომავლისაკენ, ხაზი გაუსვა ჟ.-ბ. ბოკასამ, შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ურყევ რწმენას, რამაც უზრუნველყო ფაშიზმის ძალების განადგურება. ეს იმას ნიშნავს, რომ, უზრუნველყო რა თავისი ინსტიტუციური ორგანოების სიმტკიცე და ჰქონდა რა საჭირო საშუალებანი, რათა უკუეგდო აგრესიის ძალების ხრიკები შეშფოთებულ წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირმა აირჩია სამამულო ეკონომიკის განვითარებისა და მეგობარ ქვეყნებთან თავისი ურთიერთობის განმტკიცების გზა. ამის მკაფიო დადასტურებაა სხვადასხვა სამრეწველო კომპლექსები, სოფლის მეურნეობის პრობლემების სწორად გადაჭრის მუდმივი ძიება, რომლის განვითარებას სერიოზულად უშლის ხელს ფეოდალიზმის ამ ნაწილის უაღრესად მკაცრი კლიმატური პირობები. ამის დადასტურებაა ის, რომ სულ უფრო მეტი ქვეყანა ამყარებს და იცავს საბჭოთა კავშირთან მეგობრულ ურთიერთობას.

რაც შეეხება ჩვენ, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის მოქალაქეებს, ჩვენი მთავარი საზრუნავია ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარება, ჩვენი აუოაცხელი ბუნებრივი რესურსების დამუშავება და ათვისება, ჩვენი ქვეყნის თანდათანობითი ინდუსტრიალიზაცია ჩვენი მოსახლეობის ცხოვრების ჯეროვანი დონის უზრუნველსაყოფად, ეროვნული კადრების სწრაფად მომზადება და ჩვენი მეგობრების წრის გაფართოება, რათა ამით ჩვენი წვლილი შევიტანოთ მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებაში.

ასეთი საერთო მიზნები ჩვენი ორი ქვეყნისა, რომლებსაც ჩვენს შორის უკვე არსებული გულითადი ორმხრივი ურთიერთობის გარდა, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ერთობლივი ღონისძიებებით იბრძოლონ რასიზმისა და აპარტეიდის წინააღმდეგ, კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმისა და მათი შედეგების წინააღმდეგ, აგრეთვე ვერაგი იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

იმედი გვაქვს, რომ მეგობრობა საბჭოთა ხალხისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკას შორის აგრეთვე ჩემი ოფიციალური ვიზიტი თქვენს ქვეყანაში ხელს შეუწყობს არა მარტო ჩვენი ორმხრივი ურთიერთობის განვითარებას ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში, არამედ აგრეთვე ბრძოლას მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ნ. ვ. პოდგორნიმ. მან თქვა:

— ჩვენ დიდი სიამოვნებით გეგზავრებით ამ მეგობრულ სადილს. მინდა გულითადი მადლობა გიძღვნიან თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, კარგი და გულთბილი სიტყვებისათვის. საბჭოთა კავშირისა და მისი ხალხის მიმართ, ჩვენი სახელმწიფოს ღონისძიებების მადალი შეფასებისათვის მშვიდობისათვის ბრძოლაში. ბატონო პრეზიდენტო! საბჭოთა კავშირს ისეთ გმირ ქალაქებში მოგზაურობისას, როგორიც ლენინგრადი და ვოლგოგრადია, თქვენ პირადად დარწმუნდით, თუ რა სიმტკიცე და თავგანწირვა გამოიჩინეს საბჭოთა ადამიანებმა თავიანთი სამშობლოს დაცვის დროს, გაეცანით მათს ახლანდელ ცხოვრებას, ნაბამტებებს ეკონომიკაში, მეცნიერებასა და კულტურაში. თქვენ ეწვეოთ კიდეც გმირ ქალაქ კიევსა და მშიერ ყირიმს, სადაც ლენინგრადელ ბავშვებს ერთ-ერთ სანატორიუმში ბავშვობა ჰქონდათ. ეს ადგილები ეხსოვნებოდა ჩემს ოჯახს, ჩემ ბავშვობას, ეს ადგილები ეხსოვნებოდა ჩემ ბავშვ ... ...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შემდეგ

ფიქრები და გეგმები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში და პლენუმის დადგენილებაში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ნათელი პერსპექტივებია დასახული.

დღეს ჩვენ მგზავრობენ წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარის, სოციალისტური შრომის გმირის ნ. ყობრიაშვილის ფურცელს იმის შესახებ, თუ რას მიაღწიეს და რის გაკეთებას მარაულობენ. ამასთან სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ხელმძღვანელ მუშაკებს, ყველა მშრომელს ვთხოვთ გაგითვალისწინონ თავიანთი მოსაზრება, თუ რაზე ფიქრობენ კელენშის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

კომუნისტური პარტიისა და სახელმწიფოს მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში განხორციელებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მკვეთრად გადიდებას. ამ დღეებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო მეტად მნიშვნელოვანი დადგენილება, რომელშიც ვკითხულობთ: „ხალხია ბეჯითად დავნერგოთ სამეურნეო ანგარიში, გავაძლიეროთ კონტროლი კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო ფინანსურ-სამეურნეო ხელმძღვანელობისადმი“. ამ წერილში მინდა სწორედ ამ საკითხებს შევეხო.

ჩვენს კოლმეურნეობაში მიმდინარე ხუთწლეულის ოთხ წელიწადში პროდუქტების წარმოება ორჯერ და მეტად გაიზარდა. შესაბამისად ამაღლდა შრომის ანაზღაურებაც. ამ მიღწევებს, ჩემი აზრით, განაპირობებს ორი ძირითადი ფაქტორი: პირველი — შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის ბრძოლა; მეორე — მტკიცე აღრიცხვა-ანგარიშება.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის კოლექტიური სისტემა ჩამოყალიბდა, განმტკიცდა და გაიზარდა ჩემს თვალწინ, და მახსოვს, თუ ადრე წარმოების დაბალ დონესთან ერთად რაოდენ სუსტი იყო აღრიცხვა და თვითეული მანეთისადმი კონტროლი. ბუღალტერს ჰქონდა მხოლოდ ერთი დავთარი, რომლის- ფურცლები დაყოფილი იყო ვერტიკალური ხაზით. ერთ მხარეს ეწერა შემოსავალი, ხოლო მეორე მხარეს გასავალი. ეს იყო და ეს.

საკოლმეურნეო წარმოების გაფართოების, დარგთა სწორი შეთანაწყობისა და ახალი ტექნიკის დანერგვის პირობებში საჭირო გახდა ზუსტი აღრიცხვა და ანგარიშიანობა. ამჟამად კოლმეურნეობაში 100-მდე ანგარიშია გახსნილი. თვითეულმა მეურნემ, სპეციალისტმა თუ ხელმძღვანელმა, მიწისა და ტექნიკის გონივრულ გამოყენებასთან ერთად, უნდა იცოდეს თვითეული კაპიკის ყადრი, მისი ხარჯვისა და კონტროლის მეთოდები.

რა დანახარჯებით რა პროდუქცია მიიღებული და როგორია რენტაბელობის დონე? ამ მხრივ დიდ დახმარებას გვიწევს და საქმის კურსში გვაყენებს ეკონომიური ანალიზის ბიურო.

ასეთ პირობებში წარმოების ყველა რგოლში დარგის ხელმძღვანელი, სპეციალისტი თუ უშუალოდ მწარმოებელი ცდილობს გამონახოს ყველა გზა და საშუალება ერთეულ პროდუქციაზე დანახარჯების შემცირებისათვის, მიაღწიოს შრომის მაღალ ნაყოფიერებას. იზრდება ურთიერთ პასუხისმგებლობა და მომთხოვნელობა. შარშან ერთსა და იმავე ნიადაგურ და ბუნებრივ პირობებში № 6 ბრიგადამ ჰექტარზე საშუალოდ 36 ცენტნერი მარცვლეული მიიღო, № 3 ბრიგადამ კი—13 ცენტნერი. ესე იგი საშუალოდ ჰექტარზე № 6 ბრიგადამ მოგვცა 22,4 მანეთი ფულადი შემოსავალი, № 3 ბრიგადამ კი — 11,6 მანეთი. ეს საკითხი გახდა კოლმეურნეობის გამგეობის მსჯელობის საგანი და უყოყოთო მუშაობისათვის ბრიგადირი განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან.

დიდი გამოსმაურება გამოიწვია და სახურველი შედეგი გამოიღო ჩვენს კოლმეურნეობაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილმა სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ. ამ საკითხის საქმიან განხილვას კონკრეტული შედეგებიც მოჰყვა. მარტო ადმინისტრაციული ხამმართველო ბერსონალი 115 კაცდან 93-მდე შემცირდა, ორად კაცს კოლმეურნეობამ 10 ათასი მანეთი ეკონომია მიიღო.

ტექნიკის მაქსიმალური დატვირთვის მიზნით ყველა ტრაქტორი გადავიყვანეთ ორცვლიან სამუშაო რეჟიმზე, მინიმუმამდე შევამცირეთ ავტოტრანსპორტის უქმი გარბენები, დავნერგეთ ბორდოს ხსნარით ვენახის შეწამლისა და კულტივაციის ერთ აგრეგატში მოთავსების პრაქტიკა, ვაზთაშორისების თოხნისა და ხახლავის გამოტანის მექანიზაცია. გარკვეული მუშაობა გვაქვს გაწეული ახალი სახნავი ფართობების ათვისების საქმეში, ამასთან სისტემატურად ვაწარმოებთ სახნავებისა და საძოვრების ქვა-ღორღისგან გაწმენდას, 280 ჰექტარზე ჩატარდა წიადაგის მოთაბაშირება.

მილოონობით დამატებით შემოსავალს მოგვცემს ახალი სარწყავი სისტემა, რომელიც მოეწყო „ენამოსში“. ამის შედეგად ნათესი ბალახების ოთხ-ხუთჯერ გათიბვას ვახდენთ. ეს დიდი რეზერვია მეცხოველეობაში. აქვე თვითკრიტიკით უნდა აღვნიშნოთ, რომ ვერ ვიცავთ რწყვის ტექნიკას, არა გვაქვს არხების საწმენდი მექანიზმები. ამ საქმეში უნდა დაგვეხმაროს ალაზნის სისტემამ სამმართველო.

უკანასკნელ წლებში ვიღებთ მარცვლეულისა და ყურძნის მაღალ, მყარ მოსავალს, ჰექტარზე საშუალოდ 70-80 ცენტნერ ყურძენსა და 20-22 ცენტნერ მარცვლეულს. ეს კი მიწათმოქმედების მაღალი კულტურის შედეგია. მარტო შარშან მარცვლეულის ნათესებსა და მრავალწლიან ნარგავებში 5.128 ტონა ნაკელი და 1.028 ტონა აზოტოვან-ფოსფოროვანი სასუქები შევიტანეთ. ხათანადო ღონისძიებები განვახორციელეთ სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებისა და შესრულებულ სამუშაოთა კონტროლის ხაზით. უფრო გავზარდეთ მომთხოვნელობა დარგის ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა მიმართ. უხარისხო ხვნისა და ნათესებში ბარვეზიანობის გამოსწორება ხელფასის დაურიცხავად ეკისრებათ იმ მექანიზატორებს, რომლებმაც წუნი დაუშვეს. ჩვენ ყველა პირობა გვაქვს მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა წელს ავიყვანოთ 23, ხოლო ყურძნისა — 70 ცენტნერამდე.

თესლბრუნვის სისტემის აღდგენასთან დაკავშირებით მარცვლეულისა და ხაკვები კულტურების წარმოების გადიდების კვალობაზე დიდი ამოცანებია დასახული მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. ვალდებულებით ნაკისრი გვაქვს წელს ვაწარმოოთ 440 ტონა ხორცი, 1.860 ტონა რძე და სხვა პროდუქტები, მნიშვნელოვნად შევამცროთ თვითღირებულება. ამას მიკვალწევთ ხაკვთა წარმოების იაფი და ყუათიანი ხაკვები ბაზის შექმნით. გათვალისწინებული გვაქვს 5.700 ტონა ხარისხოვანი სილოსის ჩადება.

მაგრამ დასახული ამოცანის შესრულებისათვის მარტო ეს როდი კმარა, საჭიროა მომჭირნეობა და ყაირათიანობა ყველგან და ყოველთვის: ხაკვების 10-15 პროცენტი და ზოგჯერ მეტი იკარგება არასწორი ხარჯვის შედეგად. ეს დანაკარგები კი ძვირიან პროდუქციას. წელიწადში ორჯერ ვახდენთ პირუტყვის სადგომებისა და მწყემსთა საცხოვრებელი ბინების შემინვას. განა ეს დაუდევრობისა და გაუფრთხილებლობის შედეგი არ არის? სწორედ ეს კაპიტალები განსაზღვრავენ და განაპირობებენ პროდუქციის თვითღირებულებას.

შარშან განხორციელდა ღონისძიებები ბუნებრივი საძოვრების გაუმჯობესებისათვის. იქ შევიტანეთ აზოტოვანი სასუქები, ხოლო „ტარიბანაში“ შევთესეთ ოთხჯა და ქერი. ამან სახურველი შედეგი გამოიღო.

სოფლის მეურნეობის მუშაკებს გვეკალება ყოველი ღონისძიებით ავამაღლოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება, შევამციროთ მათი თვითღირებულება. ყოველივე ეს შესაძლებელია შრომის სწორი, მეცნიერული ორგანიზაციის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის, ეკონომიის რეჟიმის განხორციელებით. ამით ჩვენ საპატიო წვლილს შევიტანთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივლისის პლენუმის დადგენილების განუხრელად შესრულების საქმეში.

ნიკო ყოჩიაშვილი,

წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.



ახორციელებენ რა სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ცხინვალის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეებმა ვალდებულება იკისრეს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულონ თივისა და სილოსის დამზადება, უზრუნველყონ საქონელი ყუათიანი საკვებით ზამთრისათვის.

სურათზე: საკვების დამზადება ერედვის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო ლ. ბუსღვინისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ქრონიკა და ბიბლიოგრაფია

ლენინის მოძღვრების შუქი

ამ რამდენიმე ხნის წინათ მკითხველმა მიიღო ჟურნალ ი. ქობალიას „ფილოსოფიური ნაშრომი, რომელშიც საფუძვლიანად არის განხილული დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის აქტიალური პრობლემები.

ახლა, როცა ბურჟუაზიის იდეოლოგები ყოველნაირად ცდილობენ ერთმანეთს დაუპირისპირონ პერმანენტული რევოლუციის მარქსის იდეა დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის ლენინურ თეორიას, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის თანაფარდობის მეცნიერულ გარკვევა-დასაბუთებას უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება.

ნაშრომის პირველ თავში ავტორი არკვევს რეფორმისა და რევოლუციის ურთიერთობას. ამასთან საკითხს განიხილავს არა ზოგადად, არამედ დემოკრატიისა და რეფორმისათვის ბრძოლის თანაფარდობის შესწავლის ასპექტში. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ფუძემდებლურ დებულებებზე დაყრდნობით ავტორი ილაშვრავს იმ „თეორეტიკოსთა“ შეხედულებების წინააღმდეგ, რომელთაც მიიჩნიეთ, რომ რეფორმისათვის ბრძოლა თითქოს უფრის დემოკრატიისათვის ბრძოლას. ავტორი ამტკიცებს, რომ ბურჟუაზიულ - დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის ლენინური მოძღვრება საზოგადოდ დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის თანაფარდობის პრობლემების გადაწყვეტის თეორიული საფუძველია.

ავტორის სამართლიანი მტკიცებით, დემოკრატიული ბრძოლის ფაზა, მეტ წილ კვეყნებში დამუკიდებელი, დემოკრატიული რევოლუციების აუცილებლობა, შეიქმნა არა მარტო იმის გამო, რომ მონოპოლიები ცდილობენ მოსპონ ტრადიციული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ინსტიტუტები, არამედ იმიტომაც, რომ ბურჟუაზიას საერთოდ არ ძალუძს ბოლომდე მიიყვანოს რევოლუცია. დემოკრატიული და სოციალისტური ამოცანების ბოლომდე გადაწყვეტა შეუძლია მხოლოდ პროლეტარულ რევოლუციას. ამიტომ, დასასრულს ავტორი, „ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის კანონზომიერებათა დაცვა

ი. ქობალია. „ვ. ი. ლენინი დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის თანაფარდობის შესახებ“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

სავალდებულოა განგითარებულ ქვეყნებში, სადაც ბურჟუაზიული რევოლუციები დიდი ხანია მოხდა.

მეორე თავში ავტორი არკვევს ლიბერალიზმისა და სოციალიზმის, რევოლუციური დემოკრატიზმის, რევოლუციური ნაციონალიზმის და სოციალიზმის ურთიერთობის საკითხებს. ამასთან დაკავშირებით განხილულია დემოკრატიისაგან ლიბერალიზმის და საერთო-დემოკრატიული ნაკადიდან მუშური დემოკრატიის გამოყოფის საყურადღებო პრობლემები. აქვე მოცემულია დემოკრატიის ზოგადი ცნების განსაზღვრა და ორიგინალურად ჩამოყალიბებული დემოკრატიისათვის ბრძოლის მეთოდოლოგიური პრინციპები.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ბურჟუაზიული დემოკრატიული რევოლუციის და ბურჟუაზიული დემოკრატიის ხაზს ავრძელებს ელეხობა. ცხადია, ბურჟუაზიული არ ნიშნავს აუცილებლად მსხვილბურჟუაზიულს. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ლიბერალური და ელეხური ბურჟუაზიული დემოკრატია. ამიტომ აუცილებელია ბურჟუაზიული დემოკრატიის ამ ორი ნაირსახეობისადმი პროლეტარიატის დამოკიდებულების განსაზღვრა.

შემდეგ თავში ავტორი იხილავს ისეთ საყურადღებო პრობლემას, როგორიც არის განგითარებული კაპიტალიზმის ეპოქაში დემოკრატიისათვის ბრძოლის შესაძლებლობა და აუცილებლობა. პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის პერიოდში ანალიზდა ბოლშევიკთა ბატონობის შედეგები, დემოკრატიისათვის ბრძოლის საკითხმა განსაკუთრებული აქტუალური ხასიათი მიიღო.

წიგნის შესაბამისად თავში განსაზღვრულია განსათავისუფლებელი მოძრაობაში დემოკრატიული მოთხოვნების (ნაწილობრივი და ზოგადდემოკრატიული მოთხოვნების) ისტორიული ადგილი. აქვე განხილულია საკითხები დემოკრატიისათვის ბრძოლის გაგებას, მეთოდებისა და საშუალებების შესახებ. ავტორი მეტად ორიგინალურ მოსაზრებას გვაძლევს „პროგრამა მინიმუმისა“ და „პროგრამა მაქსიმუმის“ ურთიერთ კავშირზე. ამასთან დაკავშირებით საფუძვლიანად ახის გარჩეული სამი ძირითადი საკითხი — მიწის ნაციონალიზაციის, ეროვნული დემოკრატიული მოთხოვნის — მიწის ნაციონალიზაციის, ეროვნული დემოკრატიული ... ბურჟუაზიული ... ბურჟუაზიული ... ბურჟუაზ

კომუნისტი
საქართველოს კომპარტიის თბილისის საოლქო, ოლქკომი, ოლქის სახალხო დეპუტატთა მაზრის საბჭოს ორგანო

ᲕᲔᲜᲐᲚᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐ...

ᲤᲘᲤᲐ-Ს რეკომენდებით ფეხბურთის წესდების საერთაშორისო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მომავალი სეზონიდან ყოველ საერთაშორისო მატჩში, თუ იგი ფრედ დამთავრდება, გამარჯვებულს გამოავლენენ არა წილისყრა, როგორც ეს ადრე ხდებოდა, არამედ პენალტები.

მეტოქეებს საშუალება ეძლევათ გამოიყენონ ხუთ-ხუთი პენალტი ერთ კარში, ამასთანავე მათ უნდა დაასახელონ ხუთ-ხუთი მოთამაშე, რომლებიც შეასრულებენ დარტყმას. თუ პენალტების ამ სერიის შემდეგ ანგარიში ფრე იქნა, გუნდებმა უნდა შეასრულონ კიდევ თითო დარტყმა და ასე შემდეგ, სანამ გამარჯვებული არ გამოვლინდება. მეკარის შეცვლა შეიძლება ამ პროცედურის ყოველ მომენტში.

კუთხური დარტყმის შესრულებისას ბურთი უნდა იდოს კუთხურის სეგმენტის შუაში და არა ზედ ხაზზე. წესდების საერთაშორისო საბჭომ უარყო სატელევიზიო კადრების (ვიდეოჩანაწერი) გამოყენება მსაჯთა კრიტიკის საშუალებად.

ᲬᲘᲚᲘᲡᲧᲠᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ

ᲓᲦᲔᲡ ქენევაში უეფა-ს საორგანიზაციო კომიტეტის მორიგ სხდომაზე მოეწყობა ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველი ტურის წილისყრა.

ევროპის მეტ წილ ქვეყნებში უკვე დამთავრდა სეზონი, გამოვლინდნენ ახალი ჩემპიონები და თასების მფლობელები. დანიაში, ნორვეგიაში, სსრ კავშირსა და ფინეთში ჩემპიონატები იმართება ზაფხულის კალენდრით. ამიტომ ამ ქვეყნების ფედერაციებმა განაცხადეს შეიტანეს 1969 წლის ჩემპიონები — „ბ-1903“, „რუსენბორგი“, „სპარტაკი“ და კვ.

ჰოლანდიის, საფრანგეთის და ოუგოსლავიის საკლუბო გუნდებმა გადაკეთეს „დუბლი“ — გახდნენ ჩემპიონები და თასიც მოიპოვეს. ამიტომ ამ ქვეყნებიდან თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამოვლენ ფინალისტები — „ეინდჰოვენი“, „ნანტი“ და „ოლიმპია“.

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲤᲘᲜᲘᲨᲘ

მოსკოვში დამთავრდა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ვაჟთათვის. წარმატება ხვდათ საბჭოთა მოჭადრაკეებს ვროსმანისტერ ანატოლი ლეონსა და ოლეგ მოისეევს, რომლებმაც 11-დან რვანახევარ-რვანახევარი ქულა შეაგროვეს და პირველი და მეორე ადგილი გაიყვეს.

საზღვარგარეთელი მოჭადრაკეებიდან უკეთესი იყო უნგრელი ვროსმაისტერი კარი ხონფი. მან 6,5 ქულა შეაგროვა და ი. ზაიცევთან ერთად მესამე და მეოთხე ადგილი გაიყო.

„ᲑᲐᲠᲘᲡ“ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ

ᲗᲣ საფ უნდა შემდგარიყო თბილისის „დინამოსა“ და ბაქოს „ნეფტჩის“ ნახევარფინალური მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე, უნდა განესაზღვრა წილისყრას. და აი ეს პროცედურა შედგა გუშინ. თამაში გაიმართება თბილისში 25 ივლისს.

ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისში გაიმართა „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში თბილისის „ლოკომოტივსა“ და ივანოვოს „ტექსტილშჩიკს“ შორის. გაიმარჯვეს ლოკომოტიველებმა 2:1.

„ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲝᲡᲗᲐ“ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘ

რ. რუᲠᲣᲐ.

ᲝᲢᲐᲕᲐ, 7 ივლისი. (საკადრისი). საბჭოთა სპორტსმენების დიდებული გამარჯვებით დამთავრდა კანადის ქალაქ ედმონტონში მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. ჩვენმა გოლიათებმა პირად ტურნირში მოიპოვეს ხუთი ოქროს, ერთი ვერცხლის, ორი ბრინჯაოს მედალი და გუნდურ ჩათვლაში შეინარჩუნეს უძლიერესის ტიტული.

მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ (წონითი კატეგორიების მიხედვით): **ᲑᲝᲠᲘᲡ ᲑᲔᲠᲩᲘᲐᲜᲣ** (რუმინეთი), ოლიმპიური ჩემპიონები **ᲞᲔᲢᲠᲔ ᲙᲘᲠᲘᲪᲘ** (ბულგარეთი) **და ᲘᲐᲜᲣᲠ ᲕᲐᲠᲒᲐ** (უნგრეთი), **ᲮᲘᲓᲔᲗ ᲨᲣᲠᲘᲜᲝᲕᲘ** (იაპონია), ოლიმპიური ჩემპიონი თბილისელი **ᲠᲝᲛᲐᲜ ᲠᲣᲠᲣᲐ, ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲘᲒᲜᲐᲢᲝᲕᲘ** (მოსკოვის ოლქი), **ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲜᲐᲖᲐᲠᲔᲜᲙᲝ** და **ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲠᲘᲖᲐᲜᲪᲔᲕᲘ** (ორივე ალმა-ათიდან), **ᲐᲠᲗᲣᲠ ᲨᲕᲘᲪᲐᲠᲘ** (ზვეცია) და ლენინგრადელი **ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲠᲝᲖᲘᲜᲘ.**

სხვა საბჭოთა სპორტსმენებმა დაიკავეს ასეთი ადგილები: მეორე — მინსკელმა დებიუტანტმა **ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲖᲣᲑᲙᲝᲕᲘᲩᲛ** (უმჩატესი წონა), მესამე — ტაშკენტელმა **ᲠᲣᲡᲚᲐᲜ ᲙᲐᲖᲐᲙᲝᲕᲘᲩᲛ** (ქვემსუბუქი წონა) და როსტოველმა **ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲘᲐᲙᲝᲕᲚᲔᲕᲘᲩᲛ** (ქვემძიმე წონა).

„ᲑᲘ“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ „ბ“ კლასის მეორე ზონის პირველი ქვეჯგუფის გუნდების მატჩები ფეხბურთში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. აი მათი შედეგები:

„ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲐ“ (ფოთი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:0, „მერცხალი“ (მახარაძე) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:0, „ᲒᲣᲠᲘᲐ“ (ლანჩხუთი) — „კახეთი“ (ფელავი) 4:0, „მეშახტი“ (ტყიბული) — „სპარტაკი“ (რიონიანი) 0:0, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „სპარტაკი“ (სარანსკი) 1:1, „სულორი“ (ვანი) — „სპარტაკი“ (ტამბოვი) 1:0, „ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ (ეისკი) — „პროგრესი“ (კამენსკ-შახტინსკი) 1:1, „ᲪᲔᲛᲔᲜᲢᲘ“ (ნოვოროსისკი) — „მეტალურგი“ (კრასნი სულინი) 0:0, „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (სოხუმი) — „ორბიტა“ (ბელაია კალიტვა) 1:1.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲬᲚᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ სპორტული ზაფხული მრავალმხრივი და საინტერესოა. ივლისის კალენდარი შეტად გადატვირთულია როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ასპარეზობებით. საკმარისია ითქვას, რომ 48 თვეში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე გათამაშდება 50-ზე მეტი ოქროს მედალი, ხოლო ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე 30-ზე მეტი ოქროს მედალი. და მაინც ამ შეჯიბრებებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობები, აგრეთვე სტუდენტთა საკავშირო ასპარეზობა სპორტის 11 სახეობაში.

ჩვენი ქვეყნის პირველობა საგზატკეცილო ველოსიპორტში შედგება გორკში 10-დან 12 ივლისამდე. 11-დან 15 ივლისამდე მოსკოვში გაიმართება საერთაშორისო ტურნირი თანამედროვე ხუთჭიდში, ხოლო 15-დან 25 ივლისამდე დონის როსტოვში, ტაგანროგსა და ნოვოჩერკასკში მოეწყობა სტუდენტ სპორტსმენთა ასპარეზობა. 17-დან 19 ივლისამდე გფრ-ში შედგება ევროპის „ბ“ ზონის გუნდების ფინალური შეჯიბრება ჩოგბურთში დენისა და ლიტერატურაში (წერა).

VIII. **ფიზიკისა და მათემატიკის სპეციალობებზე** — ფიზიკაში (წერა)*, მათემატიკაში (წერა და ზეპირი)*, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

IX. **ქიმიის სპეციალობაზე — ქიმიაში** (წერა)*, **მათემატიკის სპეციალობაზე** — მათემატიკაში (წერა და ზეპირი), **ქიმიის სპეციალობაზე** — ქიმიაში (წერა).

შენიშვნა: ვარსკვლავებით აღნიშნულია მაპროფილებელი დისციპლინები.

ოქროს (ვერცხლის) მედლით **საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, გამოცდებს აბარებენ ერთ-ერთ მაპროფილებელ საგანში, სახელდობრ:**

ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

ქართული ენის, ლიტერატურისა და მუსიკის, რუსული ენისა და ლიტერატურის, სკოლამდელთა აღზრდის, დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობაზე — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი)*, სსრკ ისტორიაში (წერა)*, მათემატიკაში (წერა)*.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ — ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*, ᲡᲡᲠᲙ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*, ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*.

ᲘᲜᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲕᲚᲔᲚᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲘᲡ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲛᲘᲡᲐᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲐ ᲐᲑᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲨᲘ:

I. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ, ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ — ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲞᲘᲠᲘ)*, ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*, ᲡᲡᲠᲙ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*.

II. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ — ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲞᲘᲠᲘ)*, ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*, ᲡᲡᲠᲙ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*, ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*.

III. ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ — ᲠᲣᲡᲣᲚ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲞᲘᲠᲘ)*, ᲡᲡᲠᲙ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*, ᲣᲪᲮᲝᲣᲠ ᲔᲜᲐᲨᲘ (ᲖᲔᲞᲘᲠᲘ)*.

IV. ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ, ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲪᲗᲛᲪᲝᲜᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ — ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲞᲘᲠᲘ)*, ᲡᲡᲠᲙ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*, ᲣᲪᲮᲝᲣᲠ ᲔᲜᲐᲨᲘ (ᲖᲔᲞᲘᲠᲘ)*.

V. ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲐ-ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ (ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲗᲐ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ) ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ — ᲑᲘᲝᲚᲝ�გᲘᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*, ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲞᲘᲠᲘ)*, ᲡᲡᲠᲙ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*.

VI. ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲙᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ — ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲞᲘᲠᲘ)*, ᲡᲡᲠᲙ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*, ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*.

VII. ᲑᲘᲝᲚᲝ�გᲘᲐ-�გᲔᲝ�გᲠᲐᲤᲘᲘᲡ; �გᲔᲝ�გᲠᲐᲤᲘᲐ-ᲑᲘᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲘᲗ — ᲒᲔᲝ�გᲠᲐᲤᲘᲐᲨᲘ (ᲖᲔᲞᲘᲠᲘ)*, ᲑᲘᲝᲚᲝ�გᲘᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*, ᲥᲘᲛᲘᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*, ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ).

VIII. ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ — ᲤᲘᲖᲘᲙᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*, ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲞᲘᲠᲘ)*, ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ).

IX. ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ — **ᲥᲘᲛᲘᲐᲨᲘ** (ᲬᲔᲠᲐ)*, **ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ** — ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲞᲘᲠᲘ), **ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ** — ᲥᲘᲛᲘᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ).

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲛᲐᲪᲠᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲚᲘ ᲓᲘᲡᲪᲘ�პᲚᲘᲜᲔᲑᲘ.

ᲝᲥᲠᲝᲡ (ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ) **მედლით ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲜᲘ ᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲗᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲘ, ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲨᲘ:**

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ, ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ — ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲞᲘᲠᲘ)*, ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*, ᲡᲡᲠᲙ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*.

ᲘᲜᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲕᲚᲔᲚᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲘᲡ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲛᲘᲡᲐᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲐ ᲐᲑᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲨᲘ:

I. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ, ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ — ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲞᲘᲠᲘ)*, ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲞᲘᲠᲘ)*, ᲡᲡᲠᲙ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*.

II. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ — ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲞᲘᲠᲘ)*, ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*, ᲡᲡᲠᲙ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*, ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*.

III. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ, ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ, ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲗᲐ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲙᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ — ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲞᲘᲠᲘ)*, ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*, ᲡᲡᲠᲙ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*, ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*.

IV. ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ, ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲪᲗᲛᲪᲝᲜᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ — ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲞᲘᲠᲘ)*, ᲡᲡᲠᲙ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*, ᲣᲪᲮᲝᲣᲠ ᲔᲜᲐᲨᲘ (ᲖᲔᲞᲘᲠᲘ)*.

V. ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲐ-ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ (ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲗᲐ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ) ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ — ᲑᲘᲝᲚᲝ�გᲘᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*, ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲞᲘᲠᲘ)*, ᲡᲡᲠᲙ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*, ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*.

VI. ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲗᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲙᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ — ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲞᲘᲠᲘ)*, ᲡᲡᲠᲙ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*, ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*.

VII. ᲑᲘᲝᲚᲝ�გᲘᲐ-�გᲔᲝ�გᲠᲐᲤᲘᲘᲡ; �გᲔᲝ�გᲠᲐᲤᲘᲐ-ᲑᲘᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲘᲗ — ᲒᲔᲝ�გᲠᲐᲤᲘᲐᲨᲘ (ᲖᲔᲞᲘᲠᲘ)*, ᲑᲘᲝᲚᲝ�გᲘᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*, ᲥᲘᲛᲘᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*, ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ).

VIII. ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ — ᲤᲘᲖᲘᲙᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ)*, ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲞᲘᲠᲘ)*, ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲔᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ).

IX. ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ — **ᲥᲘᲛᲘᲐᲨᲘ** (ᲬᲔᲠᲐ)*, **ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ** — ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲞᲘᲠᲘ), **ᲥᲘᲛᲘᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐᲖᲔ** — ᲥᲘᲛᲘᲐᲨᲘ (ᲬᲔᲠᲐ).

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲛᲐᲪᲠᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲚᲘ ᲓᲘᲡᲪᲘ�პᲚᲘᲜᲔᲑᲘ.

ᲝᲩᲠᲝᲗᲐᲜ (ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲘᲠᲘᲗ) **ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠ